ირაჯ ფეზეშქზადი

ბიძაჩემი ნაპოლეონი

დიდ ბენეს ბიბლიოთეკა

ირაჯ ფეზეშქზადი
ბიძაჩემი ნაპოლეონი

ایرج پزشکزاد
دایی‌جان ناپلئون

სპარსულიდან თარგმნა თეა შურღაიამ

© 2014 by Iraj Pezeshkzad.
All rights reserved.
© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-838-8
www. diogene. ge

პირველი ნაწილი

1

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ზუსტად ცამეტ მორდადს[1], სამ საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, რომ შემიყვარდა. განშორების სიმწარემ და სამსალამ, რომელიც ვიგემე, ბევრჯერ მაფიქრებინა – თორმეტი ან თოთხმეტი მორდადი რომ ყოფილიყო, იქნებ ეს არც მომხდარიყო-მეთქი.

იმ დღესაც, როგორც ნებისმიერ სხვა დღეს, ძალით, მუქარით, საღამოსთვის პატარ-პატარა სანუკვარი დაპირებებით, მე და ჩემს დას დასაძინებლად სარდაფში გვიკრეს თავი. თეირანის ხვატში შუადღის ძილი ყველა ბავშვისთვის სავალდებულო იყო. იმ დღესაც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა შუადღეს, მამას ჩაძინებას ველოდით, რომ ბაღში სათამაშოდ გავპარულიყავით. როგორც კი მამამ ხვრინვა ამოუშვა, ტილოს გადასაფარებლიდან თავი ამოვყავი და კედლის საათს ავხედე. სამის ნახევარი იყო. მამას ჩაძინების მოლოდინში, საბრალო ჩემს დას თვითონაც ჩასძინებოდა. რა გაეწყობოდა, დავტოვე და გარეთ ფეხაკრეფით გავედი.

ბიძაჩემის ქალიშვილი ლეილი, თავის უმცროს ძმასთან ერთად, ნახევარი საათი იყო, ბაღში გველოდა. დიდ ბაღში ჩადგმულ

[1] მორდადი – ირანული მზის კალენდრის მეხუთე თვე (22 ივლისი-23 აგვისტო).

ჩვენს სახლებს კედელი არ ყოფდა. ახლაც, როგორც ყოველდღე, დიდი კაკლის ჩრდილში ჩუმი საუბარი და თამაში დავიწყეთ. უცებ ჩემი მზერა ლეილის მზერას გადაეყარა. დიდრონი შავი წყვილი თვალი შემომცქეროდა. მის მზერას მზერა ვერ მოვწყვიტე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვუცქერდით ასე ერთმანეთს. უცებ წკეპლა-მომარჯვებული დედაჩემი თავზე წამოგვადგა. ლეილიმ ძმასთან ერთად შინისკენ მოკურცხლა, მე კი დედამ მუქარით სარდაფში, ტილოს გადასაფარებელში შემაბრუნა. სანამ გადასაფარებლის ქვეშ შევცურდებოდი, თვალი კედლის საათზე მომიხვდა – სამს ათი წუთი აკლდა. სანამ თვითონაც გადასაფარებლის ქვეშ შე-ცურდებოდა, დედამ მითხრა:

– ღმერთმა დაგვიფარა, რომ ბიძაშენს არ გაეღვიძა, თორემ ყველას ასო-ასო აგქნიდათ.

დედა არ ტყუოდა. თავისი ბრძანებების შესრულებას ბიძაჩე-მი ძალიან მკაცრად ეკიდებოდა.

ნაბრძანები ჰქონდა, ბავშვებს დღის ხუთ საათამდე არც კი ესუნთქათ. თუ რა შედეგი მოსდევდა სიფხიზლესა და ხმაურს მი-სი შუადღის ძილის დროს ბაღის გალავნით შემოსაზღვრულ სივ-რცეში, არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ ყვავებსა და მტრედებსაც ჰქონდათ ნაწვნევი – იმ არემარეში იშვიათად ჩნდებოდნენ, რად-გან ბიძაჩემმა სანადირო თოფით არაერთხელ დააყრევინა ბუმ-ბული. ჩვენს ქუჩაზე, რომელიც ბიძაჩემის სახელით იყო ცნო-ბილი, მას მერე, რაც ორ-სამჯერ ნესვის ყეყეჩმა გამყიდველმა და ხახვით მოვაჭრემ მის სილაქს გემო გაუსინჯეს, ხუთი საათის მიდამოებში მეწვრილმანეებიც კი აღარ ჭაჭანებდნენ.

მაგრამ იმ დღეს ჩემი გონება იმდენად იყო შეპყრობილი, რომ ბიძაჩემის ჩხუბი და დაწიოკება არც გამხსენებია. ლეილის თვალებისა და მისი მზერის მოგონება წამითაც არ მტოვებდა. საითაც არ უნდა მექცია გვერდი, საითაც არ უნდა მიმემართა ფიქრი, მის შავ თვალებს ისე ცხადად ვხედავდი, თითქოს მარ-თლაც თვალწინ მყოლოდა.

ღამით, კოღოებისგან დამცავი დოლბანდის ქვეშ, ლეილის თვალებმა ისევ მომაკითხეს. საღამოს აღარ მინახავს, მაგრამ აქ იყო მისი თვალები და ალერსიანი მზერა.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. უცებ ჩემი გონება უცნაურმა ფიქრმა მოიცვა:

– ღმერთო! ნუთუ ლეილი შემიყვარდა!

ვცადე, ამ ფიქრზე გამცინებოდა, მაგრამ სულაც არ გამცინებია. შეიძლება, კაცს სულელურ ფიქრზე არ გაეცინოს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ის სულელური არ არის. ნუთუ შეიძლება, ადამიანს ასე, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ვინმე შეუყვარდეს?

რაც კი სიყვარულის შესახებ ვიცოდი, ყველაფრის გაანალიზება ვცადე. სამწუხაროდ, დიდი ვერაფერი ცოდნა იყო. ცამეტი წელი გავათავე, მაგრამ აქამდე ჩემს სიცოცხლეში ერთი შეყვარებულიც კი არ მენახა. წიგნები სიყვარულზე და შეყვარებულთა განცდების აღწერა იმხანად იშვიათად იბეჭდებოდა. თანაც, ამ ყველაფრის წაკითხვის ნებას არც გვრთავდნენ. დედ-მამა, ნათესავები, მით უფრო, ბიძაჩემი, რომლის აჩრდილი, ფიქრები და აზრები ოჯახის ყველა წევრს თავს დასტრიალებდა, ბავშვებს თანმხლების გარეშე სახლიდან გასვლას გვიკრძალავდნენ; ქუჩის ბავშვებთან მიახლოებასაც ვერ ვბედავდით. რადიოც, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც ამოქმედდა, ყოველდღიურად ორ-სამ-საათიანი მაუწყებლობისას ისეთს არაფერს გადმოსცემდა, რაც გონებას გამინათებდა.

როდესაც სიყვარულის თაობაზე ჩემს ცოდნას თვალი გადავავლე, გონებაში ყველაზე უწინ ლეილისა და მაჯნუნის ამბავი ამომიტივტივდა, რომელიც ბევრჯერ მქონდა მოსმენილი. ჩემი ტვინის ყველა კუთხე-კუნჭული გადავქექე, მაგრამ აღმოჩნდა, არაფერი მსმენოდა იმაზე, თუ როგორ შეუყვარდა მაჯნუნს ლეილი. მარტო იმას ამბობდნენ, მაჯნუნს ლეილი შეუყვარდაო.

იქნებ ჯობდა, ლეილი და მაჯნუნი ამ განსჯაში არ ჩამერთო, რადგან ლეილისა და ბიძაჩემის ქალიშვილის სეხნიობამ, ალბათ,

გაუცნობიერებლად, ჩემს შემდგომ დასკვნებზე გავლენა იქონია. თუმცა სხვა რა გზა მქონდა? მათ შორის, ვისაც ვიცნობდი, მთავარი შეყვარებულები სწორედ ლეილი და მაჯნუნი იყვნენ. არც შირინსა და ფარჰადზე ვიცოდი ბევრი რამ, მით უფრო, იმაზე, თუ როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი. გაზეთში ერთი სასიყვარულო ისტორია მქონდა წაკითხული, რომელიც ნაკვეთებად იბეჭდებოდა, ოღონდ წინა რამდენიმე ნომერი არ წამიკითხავს, თანაკლასელმა მიამბო. ამიტომ ამბის დასაწყისი არ ვიცოდი.

სარდაფის კედლის საათის რეკვა თორმეტჯერ გავიგონე. ღმერთო! შუაღამე იყო და მე ჯერ კიდევ არ მეძინა. რაც თავი მახსოვდა, ეს საათი ჩვენს სახლში ეკიდა, მაგრამ პირველად მესმოდა, როგორ რეკავდა ღამით თორმეტჯერ. იქნებ ეს უძილობაც ჩემს შეყვარებულობას ადასტურებდა! ეზოს ბინდბუნდში, მწერებისგან დამცავი ბადის მიღმა, ხეებისა და ვარდის ბუჩქების ჩრდილები უცნაურ მოჩვენებებად მესახებოდა. შიშმა ამიტანა. სანამ ჩემი შეყვარებულობა-არშეყვარებულობის თაობაზე რამეს დავასკვნიდი, შეყვარებულთა ისტორიებს თვალი გადავავლე და ელდა მეცა. თითქმის ყველა მათგანს სევდიანი თავგადასავალი ჰქონდა და ბოლოს ყველანი კვდებოდნენ.

ლეილი და მაჯნუნი – მოკვდნენ, შირინი და ფარჰადი – მოკვდნენ, რომეო და ჯულიეტა – მოკვდნენ, პოლი და ვირჟინი – მოკვდნენ, იმ საგაზეთო ისტორიაშიც – მოკვდნენ.

ღმერთო! ნუთუ მეც მართლა შეყვარებული ვარ და მეც მოვკვდები? იმხანად ბავშვების სიკვდილი სრულწლოვანების ასაკამდე ხშირი მოვლენა იყო. ზოგჯერ წვეულებებზე მომისმენია, როგორ ითვლიდნენ დაბადებული და ცოცხლად დარჩენილი ბავშვების რიცხვს. უეცრად გონებაში იმედის ნაპერწკალი გამიკრთა – სახელოვანი ამირ არსლანი, რომლის ამბავიც მრავალჯერ მოგვისმენია და წაგვიკითხავს! მხოლოდ ამირ არსლანმა აისრულა გულისწადილი.

ამირ არსლანის თავგადასავალმა და მისმა ბედნიერმა დასასრულმა, მართალია, გულში სიყვარულის ფინალის შიში ოდ-

ნავ გამინელა, მაგრამ, მეორე მხრივ, მთავარი კითხვის პასუხად გონების სასწორის პინა ოდნავ დადებით მხარეს, ანუ სიყვარულისკენ, გადახარა. როგორ გამიჯნურდა ამირ არსლანი? ფაროხლაყას სურათი უნახავს და მასზე მაშინვე გული შევარდნია. ხომ შეიძლება, მეც ერთი ნახვით შემყვარებოდა?

ჩაძინებას ვცდილობდი. ქუთუთოებს ერთმანეთზე ვატყუპებდი, იქნებ ჩამძინებოდა და ამ ფიქრთა ლაბირინთიდან გამომეღწია. საბედნიეროდ, ბავშვს, შეყვარებულსაც კი, ძილი დილამდე არ აფხიზლებს ხოლმე. ეტყობა, ამ მხრივ, უფროსი ასაკის შეყვარებულებს უფრო უჭირთ.

გათენდა. ფიქრი აღარ დამცალდა, რადგან ჩვეულებრივზე მეტხანს მძინებოდა. დედაჩემის ხმამ ძილი დამიფრთხო:

– ადე! ადე! ბიძაშენს შენთან საქმე აქვს.

თითქოს დენმა დამარტყაო, მთელი სხეულით ამაძაგძაგა. მეტყველების უნარი დავკარგე. დავაპირე კითხვა, რომელ ბიძასმეთქი, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამომივიდა.

– ადე! ბატონმა ბრძანა, აქ მოვიდესო.

ფიქრის თავი არ მქონდა. მართალია, არანაირ ლოგიკაში, ბავშვისაშიც კი, არ ჯდებოდა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიძაჩემმა ჩემი საიდუმლო გაიგო და შიშისგან ვცახცახებდი. პირველი, რაც წამების გადასავადებლად მოვიფიქრე, ჯერ ხომ არ მისაუზმია-მეთქი, გამოვაცხადე.

– ადე, ჭამე და წადი!

– ხომ არ იცი, ბიძაჩემს ჩემთან რა საქმე აქვს?

დედას პასუხმა ოდნავ დამამშვიდა:

– ასე ბრძანა, ყველა ბავშვი აქ მოვიდესო.

ამოვისუნთქე. ბიძაჩემის ქადაგებებსა და დარიგებებს შეჩვეული ვიყავი. დროდადრო ოჯახის ბავშვებს შეგვკრებდა ხოლმე და გვმოძღვრავდა. კრების ბოლოს ბავშვებს სათითაოდ ტკბილეულით გვასაჩუქრებდა. ნელ-ნელა თავი ხელში ავიყვანე და დავასკვენი, რომ ბიძაჩემი ვერანაირი გათვლით ჩემს საიდუმლოს ვერ გამოიცნობდა.

შედარებით მშვიდად ვისაუზმე. გაღვიძების მერე პირველად, სამოვრის ორთქლში, ლეილის შავი თვალები დავლანდე. თავს ძალა დავატანე, რომ მასზე არ მეფიქრა.

ბიძაჩემის სახლისკენ მიმავალმა, გზად ბაღში მის მსახურს, მაშყასემს მოვკარი თვალი, შარვლის ტოტები აეკეცა და ყვავილებს რწყავდა.

– მაშყასემ, ხომ არ იცით, ბიძაჩემს ჩვენთან რა საქმე აქვს?

– ღმერთმანი, შვილო, ტყუილი რა საკადრისია?! ბატონმა ბძანა, ყველა ბავშს დაუძახეო. მართალი გითხრა, არ ვიცი, რა საქმე აქ.

ჩვენ, გამონაკლისის სახით, შეგვეძლო მისთვის „ბიძა“ დაგვეძახა. ყველა – მეგობარი, ნაცნობი თუ უბნელი – მას მხოლოდ „ბატონოთი“ მიმართავდა და „ბატონად“ მოიხსენებდა. ბიძაჩემს ერთ-ერთი გრძელი, შვიდმარცვლიანი წოდება ჰქონდა. ზუსტად შვიდმარცვლიანი, ანუ პირი შვიდჯერ უნდა გაეღოთ და დაეხურათ, რათა მისი ძვირფასი არსებობა დაეფასებინათ. ბიძაჩემის მამაც, რომელსაც, თავის მხრივ, ექვსმარცვლიანი წოდება ჰქონდა, მხოლოდ „ბატონი“ იყო. ხალხს მისი სახელი თანდათანობით დაავიწყდა. ბიძაჩემის მამამ დიდ ბაღში შვიდი სახლი ააშენა და შვილებს სიცოცხლეშივე გაუნაწილა, რომ მის შემდეგ შვიდი ვაჟისა და ქალიშვილის ერთობას ბზარი არ გასჩენოდა. ბიძაჩემი მისი პირმშო იყო და „ბატონის“ წოდება მემკვიდრეობით ერგო. ამ ასაკობრივი უპირატესობის ან თავისი ზნისა და ხასიათის გამო, მამის სიკვდილის შემდეგ თავს უფროსად მიიჩნევდა. ეს უფროსობა ისე დაამკვიდრა, რომ საკმაოდ დიდ ოჯახს მისი ნებართვის გარეშე წყლის დალევის უფლებაც არ ჰქონდა. ბიძაჩემი და-ძმის პირად თუ საზოგადო ცხოვრებაში იმდენად ერეოდა, რომ და-ძმების უმეტესობამ სასამართლოს ძალით თავისი წილი წაიღო, კედლით გამოეყო ან სახლი გაყიდა და თავს უშველა.

ბაღის დარჩენილ ნაწილში ვცხოვრობდით ჩვენ, ბიძაჩემი და მისი ერთი ძმა, რომელსაც თავისი სახლი ჩვენგან მესრით ჰქონდა გამოყოფილი.

ბიძაჩემი შუშაბანდში იყო, ბავშვები კი ანდარუნის[2] ეზოში უხმაუროდ ერთობოდნენ.

ლეილიმ მზერა შემომაგება. ჩვენი მზერა კვლავ ერთმანეთზე შეჩერდა. ვიგრძენი, გული უცნაურად მიძგერდა, თითქოს „ბახ, ბახს“ იძახდა. თუმცა ფიქრი და განსჯა არ დამცალდა. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი ბიძაჩემი, მჭიდროდ ნაქსოვ შარვალში, მხრებზე მოსხმული თხელი, ნაინური აბით[3], ოთახიდან გამოვიდა. სახე მოღუშოდა. ბავშვები, ყველაზე პატარებიც კი, მიხვდნენ – ამჯერად ქადაგებასა და დარიგებას არ აპირებდა, ვითარება ფრიად არასახარბიელო იყო.

ჩვენ წინაშე თავისი მაღალი სხეულით აღმართულმა ბიძამ, რომელიც განუყრელი ახლომხედველი მუქი სათვალიდან დაგვყურებდა, ცივი, შემზარავი ხმით გვკითხა:

– ამ ეზოს კარი ცარცით რომელმა მოთხვარა?

გრძელი, თხელი თითი ანდარუნის კარისკენ გაიშვირა, რომელიც მის მსახურს, მაშყასემს, ჩვენ ზურგს უკან დაეხურა, თვითონ კი გვერდით მიმდგარიყო. ყველამ უნებურად იქით გავიხედეთ. კარზე, უფრო სწორად, კარის უკანა მხარეს, რომელიც ეზოსკენ იყო მოქცეული, ცარცით ბატიფეხურად მიეწერათ: „ნაპოლეონი ვირია“.

ჩვენს უმეტესობას – რვა თუ ცხრა ბავშვი ვიყავით – მზერა ერთი მიმართულებით – სიამაქისკენ გაგვექცა. თუმცა, სანამ ბიძა დაბლა დაიხედავდა, ჩვენი შეცდომა გავიაზრეთ და თავები ჩავღუნეთ. ეჭვი არ გვეპარებოდა, სიამაქის ჩადენილი იქნებოდა. ნაპოლეონისადმი ბიძაჩემის სიყვარულისა და ინტერესის თაობაზე არაერთხელ გვისაუბრია და სიამაქს, ჩვენ შორის ყველაზე ცელქს, პირობა ჰქონდა დადებული, ერთხელაც ბიძის კარზე ნა-

---

[2] ანდარუნი – შენობა და ეზო ძირითადი სახლის უკან, რომელიც ქალების, ბავშვებისა და მოსამსახურეებისთვის იყო განკუთვნილი.

[3] აბა – მამაკაცის გრძელი, განიერი, ღია მოსასხამი.

პოლეონის ვირობას აღვბეჭდავო. მაგრამ მის გაცემას ჩვენი კაცთმოყვარეობა არ გვანებებდა.

ბიძაჩემი ისე იდგა ჩვენი მწკრივის წინაშე, როგორც სამხედრო ტყვეთა ბანაკის სარდალი. დაიწყო სიტყვით გამოსვლა, თუმცა თავის შთამბეჭდავ, შიშისმომგვრელ და მუქარანარევ საუბარში ნაპოლეონის შეურაცხყოფის საკითხს არ შეხებია, ფორმალურ საბაბად ეზოს კარის ცარცით მოთხვრა დაასახელა.

წამით ავისმომასწავებელმა სიჩუმემ დაისადგურა. ბიძამ მოულოდნელად ისეთი ხმით იღრიალა, რომელიც მის გამხდარ სხეულს არაფრით შეეფერებოდა:

– ეს ვინ ქნა-მეთქი, ვიკითხე!

თვალი კვლავ სიამაქისკენ გაგვექცა. ამჯერად შეგვნიშნა და სიამაქს მრისხანე, ძრწოლისმომგვრელი მზერა მიაპყრო. ამ დროს რაღაც მოხდა. (მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ, იმედია, სიმართლისა და მიუკერძოებლობის აუცილებლობა ჩემს უხამსობას გაამართლებს.) სიამაქმა შიშით ჩაისველა და ენის ბორძიკით ბოდიშობა დაიწყო.

როდესაც დამნაშავის დასჯა ძირითადი დანაშაულისა და იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან გამოძიების პროცესში ჩაიდინა, დასრულდა, სიამაქი სახლისკენ ტირილ-ტირილით გაცუხცუხდა. ჩვენ, ბავშვები, მას მდუმარედ გავყევით, რაც, ერთი მხრივ, ბიძის შიშის შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, – პატივისცემისა და თანაგრძნობის გამოხატულება იყო სიამაქის ტანჯვა-წამების მიმართ, რომელიც დიდწილად ჩვენი მიზეზით გადაიტანა.

როდესაც, ატირებული, დედას ბიძაზე საყვედურობდა, დედამ, მიუხედავად იმისა, რომ არათუ ხვდებოდა, არამედ დანამდვილებით იცოდა, ამას რომელი ბიძა იზამდა, უნებურად იკითხა:

– რომელმა ბიძამ?

განაწამებმა ბიჭმა უნებურად უპასუხა:

– ბიძაჩემმა ნაპოლეონმა.

ელდანაკრავები გავშეშდით. პირველად მოხდა, რომ ბიძისთვის შერქმეული მეტსახელი ენამ უფროსის წინაშე წარმოთქვა.

რასაკვირველია, დედ-მამამ სიამაქი ამისთვის კიდევ ერთხელ დასაჯა. ჩვენ კი შვებით ამოვისუნთქეთ – ჩუმ-ჩუმად იმდენჯერ გვქონდა გამეორებული ეს მეტსახელი, რომ უკვე ყელში გაგვხიროდა.

ბიძა ნაპოლეონს სიჭაბუკიდან ეტრფოდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მას თავის ბიბლიოთეკაში ყველა წიგნი მოუგროვებია, რაც ირანში ნაპოლეონის შესახებ სპარსულ და ფრანგულ ენებზე (ფრანგული მეტ-ნაკლებად იცოდა) მოიპოვებოდა. თაროებზე, ამ წიგნების გარდა, სხვა წიგნი არც იყო. თუკი საუბარი მეცნიერების რომელიმე დარგზე, ლიტერატურაზე, ისტორიაზე, სამართალზე ან ფილოსოფიაზე ჩამოვარდებოდა, გამორიცხული იყო, ბიძაჩემს დასტურად ნაპოლეონის რომელიმე ფრთიანი გამოთქმა არ დაემოწმებინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოჯახის წევრების უმეტესობა, ბიძაჩემის პროპაგანდის გავლენით, ნაპოლეონ ბონაპარტს უდიდეს ფილოსოფოსად, მათემატიკოსად, პოლიტიკოსად, ლიტერატორად და პოეტადაც კი თვლიდა.

მოჰამად-ალი შაჰის დროს, მაშინდელ ჟანდარმერიაში, ბიძაჩემს, მგონი, უმცროსი ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა. ბანდიტებთან და ყაჩაღებთან მისი ბრძოლების ამბები ყველას ორმოცჯერ თუ ორმოცდაათჯერ მაინც გვქონდა მოსმენილი.

თითოეული ამბავი ბავშვებს შორის კონკრეტული სახელით იყო ცნობილი, მაგალითად: ქაზერუნის ბრძოლა, მამასანის ბრძოლა და ა.შ. თავიდან ამ ამბებს საფუძვლად ედო ბიძაჩემისა და ხუთი-ექვსი ჟანდარმის შეტაკება ბანდიტებთან თუ ყაჩაღებთან ქაზერუნის ან მამასანის მხარეში. დროთა განმავლობაში მტრის რიცხვი იზრდებოდა, ბრძოლები კი სულ უფრო სისხლისმღვრელი ხდებოდა. მაგალითად, თუ ქაზერუნის ბრძოლა თავდაპირველად ბიძაჩემისა და ხუთი ჟანდარმის ბანდიტებთან შეტაკება და ათი-თორმეტი ბანდიტის მიერ მათი ალყაში მოქცევა იყო, ორი-სამი წლის შემდეგ ეს ბრძოლა სისხლისმღვრელ ომად იქცა,

რომელშიც ას ორმოცდაათამდე ჟანდარმი ოთხი ათასმა ყაჩაღმა, ცხადია, ინგლისელების წაქეზებით, ალყაში მოაქცია.

მაშინ ვერ ვხვდებოდით, მერე კი, როცა ცოტა ისტორიაც ვისწავლეთ, მივხვდით, რომ ნაპოლეონისადმი ბიძაჩემის სიყვარულის გამძაფრებასთან ერთად, მისმა ბრძოლებმა თანდათან არა მხოლოდ გასაოცარი მასშტაბები მიიღო, არამედ ზედმიწევნით დაემსგავსა ნაპოლეონის ბრძოლებს. ქაზერუნის ამბებზე საუბრისას, ზედმიწევნით აღწერდა აუსტერლიცთან შეტაკების სცენას და ამ ბატალიაში არც ქვეითებისა თუ არტილერიის ჩართვაზე ამბობდა უარს. მოგვიანებით ისიც შევიტყვეთ, რომ, ირანში რეგულარული ჟანდარმერიის შექმნის შემდეგ, როდესაც ძველმა მუშაკებმა ჩინები თავიანთი შეგნებისა და ცოდნის შესაბამისად მიიღეს, ბიძაჩემი, რაკი იმ საქმეებში, რაშიც გენიოსობაზე დებდა თავს, საკმარისი ცოდნა არ აღმოაჩნდა, ერთ-ერთი დაბალი ჩინით გავიდა პენსიაზე.

მეორე გრძელი ღამე დაიწყო. ისევ ლეილის შავი თვალები, ისევ ლეილის ალერსიანი მზერა და ისევ ცამეტი წლის ბიჭის არეული ფიქრები, ისევ ის კითხვა და ისევ ის პრობლემა, რომელსაც კიდევ ერთი ახალი კითხვაც დაემატა:

– ვაითუ ლეილისაც შევუყვარდი! ღმერთო, დამინდე! თუ მარტო მე მიყვარს, იქნებ გადავრჩე, მაგრამ თუკი მასაც...

მაშინაც კი, როცა ბიძის წინ გამწკრივებულები, აღელვებულები, მომლოდინენი და დაზაფრულები ვიდექით და არც ერთი დარწმუნებული არ ვიყავით, რომ ბიძა სიმართლეს გაარკვევდა ან სამართლიანად განსჯიდა, სახეზე ლეილის მზერას ვამჩნევდი ან ვგრძნობდი.

ახალი კითხვაც გაჩნდა, რომლის პასუხი უნდა მეპოვა: რა ჯობია, სიყვარული ცალმხრივი იყოს თუ ორმხრივი?

ვის ვკითხო? ვის ვეთათბირო? ნეტავი ლეილი აქ ყოფილიყო! არა, უეჭველად შეყვარებული ვარ, თორემ რატომ მინდა, რომ ლეილი აქ იყოს? იქნებ ვინმეს ვკითხო, მაგრამ ვის?

თვითონ ლეილის ხომ არ ვკითხო? მართლა სასაცილოა! ლეილის ვკითხო, მე შენ შემიყვარდი თუ არა-მეთქი? მაგრამ იქნებ მოვახერხო, ლეილის ვკითხო, რომ... რომ რაო? ვკითხო, შევუყვარდი თუ არა? ესეც სასაცილოა. თანაც, გამორიცხულია, ასეთი რამის კითხვა გავბედო.

ჩემს ტოლ ბავშვებზე დავფიქრდი.

არა, არ გამოვა. ლეილის ძმა ჩემზე პატარაა და ჭკუა არ მოეკითხება. ალის ხომ არ ვკითხო?.. არა, ეგ ენას ვერ აჩერებს, მივა და მამაჩემს, ან უფრო უარესი – ბიძაჩემს ეტყვის. ო, ღმერთო, ნუთუ არავინაა, ვისაც ვკითხავდი, შეყვარებული ვარ თუ არა?

უეცრად, ჩემი ფიქრების წყვდიადსა და რია-რიაში იმედის სხივი გამოკრთა:

– მაშყასემი!

ჰო, რა იქნება, რომ მაშყასემს ვკითხო? მაშყასემი ბიძაჩემის სოფლელი მსახური იყო. მთელ ოჯახს მაშყასემის ღვთისმოსაობა და რწმენა მუდამ პირზე ეკერა. თანაც, ერთხელ უკვე გამოცდილი მყავდა. ერთ დღეს, როცა ბურთით ბიძის სახლის მინა ჩავამსხვრიე, მაშყასემმა დაინახა, მაგრამ სიტყვა არავისთან დასცდენია.

საერთოდ, მაშყასემი „ჩვენიანი“ იყო. უცნაურ ამბებს გვიყვებოდა. ერთი სიკეთე სჭირდა – არცერთ კითხვას არასოდეს უპასუხოდ არ ტოვებდა და, როცა რამეს შევეკითხებოდით, ჯერ იტყოდა:

– ტყუილი რა საკადრისია, სამარემდე ააა...

„ააა“-ს თქმისას ოთხ გაშლილ თითს გაჩვენებდა. მოგვიანებით გავიგეთ, თურმე იმას გულისხმობდა, რომ სამარის კარამდე მანძილი მხოლოდ ოთხი თითის დადებაა, ამიტომ ტყუილი არ უნდა იკადრო. ზოგჯერ ვხვდებოდით და ვგრძნობდით, რომ მაშყასემი ცრუობდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო სწორედ ის იყო, რომ ნებისმიერ კითხვას, თუნდაც ურთულესი პრობლემებისა და გასაოცარი აღმოჩენების შესახებ, უპასუხოდ არ ტოვებდა და ახსნას უძებნიდა. როდესაც ვკითხეთ, გველეშაპი მართლა არსებობს თუ არაო, არც დაფიქრებულა, ისე გვიპასუხა:

– რა გითხრათ, შვილებო, ტყუილი რა საკადრისია? სამარემდე ააა... ერთ დღეს ჩვენ თითონ, ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ გველეშაპი... მივდივართ ყიასაბადი-ყუმის[4] გზაზე... ისაა, გადასახვევს გავცდით, რას ვხედავთ! ცხვირწინ გველეშაპი არ დაგვიფრინდა! გაჩერდა. ღმერთმა არ განახოთ იმნაირი ცხოველი! – რაღაც ვეფხვს, კამეჩს, ძროხას, რვაფეხასა და ჭოტს შორის იყო... ხახიდან სამ მეტრზე ცეცხლს აფქვევდა... თავზე ხელი ავიღე და ერთი ისე ჩავცხე ბარი ხახაში, რო სუნთქვა შეეკრა. ერთი იმნაირად ამოიხვრინა, მთელ ქალაქს გაეღვიძა... მარა, რა ხეირი, შვილო? ვინმემ თუ მითხრა, შენ გაიხარე, მაშყასემო...

მაშყასემს ყველა ისტორიული ფაქტისა და კაცობრიობის დაუჯერებელი აღმოჩენისთვის ახსნა მოეძებნებოდა. მაშინ ატომური ბომბი გამოგონილი რომ ყოფილიყო, ბირთვულ აფეთქებებს უსათუოდ დეტალურად აგიხსნიდათ. იმ ღამეს მაშყასემის სახელი ჩემს დაბინდულ გონებაში იმედის სხივივით აკიაფდა და შედარებით მშვიდად დამეძინა.

დილაადრიან გავიღვიძე. საბედნიეროდ, მაშყასემი ადრე დგებოდა. მაშინვე ყვავილების მორწყვასა და ბაღის მოვლას იწყებდა.

მასთან მივედი. ტაბურეტზე შემდგარი, ფანჩატურის გარშემო ჩამოკიდებული ველური ვარდის ტოტებს აწესრიგებდა.

– უძილობა შეგეყარა, შვილო?.. დღეს ასე დილაუთენია რამ აგაყენა?

– წუხელ ადრე დავწექი. დილით აღარ მეძინებოდა.

– მიდი, ითამაშე, სანამ დრო გაქ. სკოლის დაწყებამდე რაღა დარჩა!

ერთხანს შევჭოჭმანდი, მაგრამ მესამე ღამის შემეშინდა. გავბედე და ვუთხარი:

– მაშყასემ, რაღაც მინდა გკითხოთ.

– მითხარი, შვილო!

---

[4] ყიასაბადი – სოფელი ყუმის პროვინციაში, განთქმულია მიწისქვეშა წყლებით.

– ერთი თანაკლასელი მყავს, ფიქრობს, რომ შეყვარებულია... მაგრამ, როგორ გითხრათ?.. დარწმუნებული არ არის... ვინმესთვის კითხვა ერიდება... თქვენ თუ იცით, როგორ ხვდება ადამიანი, რომ შეყვარებულია?

მაშყასემი კინაღამ ტაბურეტიდან ჩამოვარდა:

– რაო?.. როგორ?.. შეყვარებულია? ანუ ვინმე უყვარს? შენი თანაკლასელი?

ერთობ შეშფოთებულმა ვკითხე:

– რა იყო, მაშყასემ? ძალიან საშიშია?

მაშყასემი მებაღის მაკრატელს თვალს არ აშორებდა. მშვიდად მითხრა:

– შვილო, ღმერთმანი, ტყუილი რა საკადრისია? სამარემდე აااა... ჩვენ თითონ არავინ გვყვარებია... ანუ ეგეც დაგვმართია! ერთი სიტყვით, ვიცით, რა დოზანაა. ღმერთმა არა კაცს არ არგუნოს! ინშაალლაჰ[5], ხუთი წმინდანის[6] მადლმა, ღმერთმა ნურავის შეყაროს სიყვარულის სენი და ტანჯვა. უფროსი ადამიანი მას ცოცხალი ვერ გადაურჩება, ბავშზე აღარაფერს ვამბობ, შვილო!

ფეხებს ჩემი სხეულის ზიდვა აღარ შეეძლო. ძალიან შევშინდი.

ბიძაჩემის მსახურთან, მაშყასემთან, შეყვარებულობის ნიშნებისა და გვერდითი მოვლენების საკითხავად მივედი, ის კი სიყვარულის სავალალო შედეგებს მიხსნიდა. მაგრამ არა! არ უნდა წავხდე. მაშყასემი ხომ ერთადერთი გამოცდილი ადამიანია, რომელსაც შეუძლია სიყვარულზე და შეყვარებულობის ნიშნებზე საჭირო ინფორმაცია მომაწოდოს. უნდა გავმაგრდე!

– მაგრამ, მაშყასემ, ამ ჩემს თანაკლასელს ჰგონია, რომ შეყვარებულია. ჯერ ის უნდა, გაიგოს, მართლა შეყვარებულია თუ არა. მერე, თუკი შეყვარებულია, ამ ტანჯვას როგორმე უწამლებს.

---

[5] ინშაალლაჰ (არაბ.) – „თუკი ღმერთი ინებებს“.

[6] შიიტთა წმინდანები: მოჰამადი, ალი, ფათემე, ჰასანი და ჰოსეინი.

– ჰო, მარა, განა სიყვარული ეგრე ადვილად იკურნება, შვილო? ეგ უპატრონო ყველა ტკივილზე და სენზე უარესია. ღმერთმა გვაშოროს და, მუცლის ტიფზე და ჭვალზე უარესია...

– მაშყასემ, ეგ ყველაფერი კარგი, – ვუთხარი რიხიანად, – მაგრამ კაცი როგორ ხვდება, რომ შეყვარებულია?

– ღმერთმანი, შვილო, ტყუილი რა საკადრისია!.. რაც ჩვენ გვინახავს, ეგეთია, რო, ვინმე რო შეგიყვარდება... იმას რო ვერ ხედავ, გული, თითქო, ყინულად იქცაო... რო ხედავ, ამ შენ გულში ეგეთი ბუღი ავარდება, თითქო, თონე გაახურესო... ყველაფერი, მთელი დუნიის ავლადიდება სუ იმისთვის გინდა, თითქო, ჰათემ თაი[7] ხარ... ერთი სიტყვით, მანამ ვერ ისვენებ, სანამ იმ გოგოზე არ დაგნიშნავენ... მარა ისიც ხდება, ღმერთმა ნუ ქნას და, ის გოგო ვინმე სხვას მისცენ ცოლად. აი, მაშინ ვაი შენ დღეს!.. ერთი ჩვენებური ბიჭი იყო, იმასაც შეუყვარდა... ერთ ღამეს ის გოგო სხვაზე დანიშნეს. დილას ის ჩვენებური ბიჭი დაიკარგა, ოცი წელი გავიდა, დღემდე ვერავინ გაიგო, რა დაემართა... თითქო მიწამ პირი უყოვო...

მაშყასემი აღარ ჩერდებოდა, თავისი თანასოფლელების და ტოლ-ამხანაგების ისტორიებს ერთიმეორის მიყოლებით მიამბობდა, მე კი ამ საუბრის დასრულება მეჩქარებოდა, ვშიშობდი, არავინ შემოგვსწრებოდა:

– მაშყასემ! ოდესმე ბიძაჩემმა არ გაიგოს, რომ თქვენ რაღაც გკითხეთ... თორემ იმის გაგებას მოინდომებს, ის ვიღაც ვინ არის, რა არის და...

– მე ბატონს რამე ვუთხრა? თავი კი არ მომძულებია!.. ბატონმა სიყვარულის და არშიყის ამბავი რო გაიგოს, მეორედ მოსვლა იქნება, ბოდიში მომითხოვია და, შეილება, კაციც მოკლას.

მაშყასემმა თავი გადააქნია და დაამატა:

---

[7] ჰათემ თაი – გულუხვობით განთქმული, ლეგენდად ქცეული არაბი თაის ტომიდან.